

საქართველოს კანონი

საქართველოს საბაჟო კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39, 09.08.2006, მუხ. 280) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და მე-8 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირს უფლება აქვს, საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობა ჰქონდეს როგორც უშუალოდ (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ისე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.“;

2. პირის წარმომადგენლად ითვლება პირი, რომლის უფლებამოსილებაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად წარმოიშობა დავალების (ერთჯერადი მინდობილობის ან გენერალური მინდობილობის, ხელშეკრულების ან მისი შემცველი დოკუმენტის) საფუძველზე, რომლითაც წარმომადგენელმა შეიძლება იკისროს განსაზღვრული საბაჟო პროცედურის ან საბაჟო პროცედურების განხორციელების ან/და საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამ კოდექსის შესაბამისად გასაჩივრების ვალდებულება. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილით შემოტანილ 10 000 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონელზე პირის (გზავნილის მიმღების) წარმომადგენლად ითვლება საფოსტო გზავნილის გადამზიდველი და მას ეკისრება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების განხორციელების ვალდებულება.“

ბ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. წარმომადგენლობაზე დავალება (ერთჯერადი მინდობილობა ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება ან მისი შემცველი დოკუმენტი) არ მოითხოვება:

ა) თუ საწარმოს/ორგანიზაციის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელით მოქმედებს მასთან დასაქმებული და საბაჟო ორგანოში წარმოდგენილია საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დირექტორის) ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლების მისივე ბეჭდით დამოწმებული (მისი არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერილი დოკუმენტი;

ბ) თუ ფიზიკურ პირს წარმოადგენს სხვა პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად (მეურვე, მშობელი და სხვ.) და საბაჟო ორგანოში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტი;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილით შემოტანილ 10 000 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონელზე საფოსტო გზავნილის გადამზიდველის მიერ საბაჟო ლეკლარაციის წარდგენისას.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი